ბედის იქით!

დავხუჭე თვალი, გულის სიღრმეში
რომ დამენახა რამე ნათელი
და მოვიგონე ნეტარნი დღენი
და გაზაფხული უკანასკნელი.
რა ადრე მოკვდა. რა ადრე მოკვდა!
ახლა ღამეა... ქვითინებს ქარი,
რომ გამახსენოს ტკბილი წარსული
და მოგონების სახე ნეტარი.
მაგრამ ვის ველი. ან რად ვღონდები,
განა არა მაქვს წინ მომავალი?
რად ჩავიგონო გზის უმიზნობა.
რად ავარიდო სიცოცხლეს თვალი?
ვის შევუშინდე? რას შევუშინდე?
დავიწყებული სად არის ჩრდილი?
დაბრკოლებები? – უამისოდ ხომ
არც გმირობას აქვს ქვეყნად ადგილი?
წავალ, გავყვები ამ სევდიან გზას.
ზღვათა ქუხილით. წყალთა ლიკლიკით...
და დავამკვიდრებ დაღლილ "სიცოცხლეს
შორს, სხვა ედემში! შორს, ჩემს ბედს იქით!